**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

20 თებერვალი, 2024 წ.

# ბრძანება N01-12/43

## ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 06 დეკემბრის N01-10/137 ბრძანებისა და „ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 16 იანვრის N01-10/01 ბრძანებისა და ამავე ბრძანებით შექმნილი კომისიის მდივნის (ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომლის) ნინო კიკნაძის 2024 წლის 14 თებერვლის №157480 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 06 დეკემბრის N01-10/137 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგად, 2024 წლის 26 თებერვლიდან 2024 წლის 27 აპრილამდე ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში <u>სტაჟიორებად</u> (ანაზღაურების გარეშე) დაინიშნონ შემდეგი პირები:
   ა) **იოსებ მექვაბიშვილი** - ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტი;
   ბ) **ლია დავითაძე** - ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტი;
   გ) **ლელა სურმანიძე** - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ეკოლოგიის “ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი;

2. სტაჟიორების სამუშაო განრიგი ( სამუშაო დღეში 4 საათი) განისაზღვროს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მიერ.
3. სტაჟიორთა ხელმძღვანელად დაინიშნოს ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი - ნინო მხეიძე და მის მიერ განსაზღვრული ინსტიტუტის პერსონალი.
4. ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორს დაევალოს არაუგვიანეს 2024 წლის 27 აპრილამდე წარმოადგინოს სტაჟიორების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.
5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: კონკურსები; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტები).
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სტაჟიორებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია),
7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე